

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

თორნიკე მერებაშვილი

Tornike Merebashvili

ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე
უფლებების მოპოვება

Acquisition of Rights to Tangible and Intangible Property

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი
Educational programme: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2025

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თორნიკე მერებაშვილი

ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე
უფლებების მოპოვება

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2025

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
დავით ძამუკაშვილი
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

თანახელმძღვანელი:
Ludovit Macaj
ფილოსოფიის დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში. თბილისი, ირინა ენუქიძის №3
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

შესავალი.....	4
მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა.....	7
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
კვლევის შედეგები, მიგნებები/განსჯა.....	28
დასკვნა/რეკომენდაციები.....	31

შესავალი

საკვლევი პრობლემატიკა და თემის აქტუალობა: კვლევისადმი ინტერესი გამოიწვია სანივთო და ინტელექტუალურ სამართლებრივ უფლებათა კანონმდებლობის განვითარებამ, განსაკუთრებით საქართველოს კონტექსტში. ნაშრომი ეფუძნება ქართული სამართლის განვითარების ისტორიის კვლევას, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებს, ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და სარეგისტრაციო სისტემების ამოქმედებას გულისხმობს ქვეყნის დამოუკიდებლობიდან. ამ დროის განმავლობაში, პოზიტიურ შედეგებთან ერთად, ბევრი პრობლემა იშვა. მაგალითად, მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს სანივთო და ინტელექტუალური უფლებების ეფექტური დაცვისა და მათზე უფლებების მოპოვებისა და რეგისტრაციის სამართლებრივი მექანიზმები.

საქართველოში მატერიალურ და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე უფლებების მოპოვების სამართლებრივმა წესრიგმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: საკუთრების უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს, გატარდა რეფორმები სიზუსტისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად; ინტელექტუალურ-სამართლებრივი უფლებათა ობიექტის რეგისტრაციისა და დაცვის კონტექსტში, ამოქმედდა „საქპატენტი“, რომელიც დროდადრო ჰარმონიზაციაში მოდის ევროკავშირთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.

გამოკვეთილია სარედაქციო უზუსტობები სამოქალაქო კოდექსის ნორმათა შინაარსში, რომელიც ქონებასა და საკუთრებას ეხება. დისერტანტის მოსაზრებით, ეს პრობლემა ხელშემშლელია საკუთრების უფლების ეფექტური დაცვის თვალსაზრისით. მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვების სამართლებრივ მექანიზმებში არსებული გამოწვევები, როგორებიცაა არაკეთილსინდისიერი მესაკუთრეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენა და მიწის დაქუცმაცების საკითხი, წარმოადგენს მნიშვნელოვან

დაბრკოლებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა მცირე მიწიან სახელმწიფოებში.

ინტელექტუალურ უფლებათა სამართლის ნაწილში, განხილულია თანამედროვე ციტირების მნიშვნელობა, გამოკვეთილია პრობლემები, რომელთა მოწესრიგებაც სამეცნიერო ნაშრომებში ციტირების სწორი მეთოდოლოგიითაა შესაძლებელი, რამეთუ დაცულ იქნას ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები დროსა და სივრცეში.

ნაშრომი მოიცავს თანმიმდევრულ სტრუქტურას, რომელიც სანივთო და ინტელექტუალურ უფლებათა სამართლის ზღვარზე მიმდინარეობს, ლიტერატურის მიმოხილვითი და ანალიტიკური ნაწილის შერწყმით, რამეთუ დისერტანტის გაგებით, სამართლის თეორია და პრაქტიკა განუყოფელი ნაწილებია, რომლებიც ერთმანეთისგან გამომდინარეობს, ამდენად, მათი ცალ-ცალკე მოქცევა სტრუქტურაში დაკარგავს სამართლის კვლევის შინაარსს.

კვლევის მიზანი და ამოცანები: სადოქტორო თემის კვლევისას შესწავლილია საკუთრების უფლების, ქონების, უფლებათა მოპოვების ცნებები ისტორიული, შედარებითსამართლებრივი და ჰერმენევტიკული კვლევის მეთოდებით. შედეგად შემოთავაზებულია ახალ ცნებები, რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლებრივი კანონების, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. დასახელებულია პრობლემები და შეთავაზებულია გადაჭრის გზები ფიზიკური და იურიდიული პირების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვების სამართლებრივი მექანიზმების ირგვლივ. გამოკვლეულია გეოინფორმაციული სისტემების თავისებურებები. ნაშრომის მიზნად დასახულია ამ სისტემების ინტეგრაციის ხელშეწყობა ქართულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, სახელმწიფო უწყებებსა და კანონმდებლობაში. შესწავლილია ინტელექტუალური საკუთრების ზოგიერთ ობიექტზე უფლებათა მოპოვების წესრიგი და გამოაშკარავებულია მთავარი განმასხვავებელი და მსგავსი ნიშნები საავტორო და საპატენტო

პროცედურების სამართლებრივი მექანიზმების თვალსაზრისით. შედარებულია სანივთო (უძრავ ქონებაზე) და ინტელექტუალურ უფლებათა ობიექტებზე საკუთრების უფლების მოპოვების თავისებურებები, რაც განაპირობებს ახალი ცოდნის შექმნას და ასახვას ქართულ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში.

ჰიპოთეზა: საქართველოს კერძოსამართლებრივი კანონმდებლობა სამოქალაქო კოდექსის ჩათვლით, როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგების კუთხით, შეიცავს ხარვეზებს, რომლებიც ეხება ნორმების ტექსტის უზუსტობას, ტერმინოლოგიურ ერთიანობასა და უფლებების მოპოვებას. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული განსაზღვრებანი, მაგალითად, ქონებისა და საკუთრების, მოითხოვს მეცნიერულ-შინაარსობრივ დაზუსტებას, რაც ხელს შეუწყობს სამართლებრივი გაურკვევლობების აღმოფხვრას და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სრულყოფას. აღნიშნული ეხება განსაკუთრებით უძრავ ქონებაზე, კერძოდ, მიწაზე და ინტელექტუალური უფლებების ზოგიერთ ობიექტზე უფლებების მოპოვებას. აღნიშნული კუთხით დღემდე განხორციელებული რეფორმის/ცვლილებების/ღონისძიებების შედეგების გამოკვლევამ შესაძლოა აჩვენოს, რომ ქონებასთან დაკავშირებული მეცნიერული და საკანონმდებლო იურიდიული ცნებები არ იყოს ზუსტი.

შედარებითსამართლებრივი ანალიზის ჩატარებითა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ეს კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზები და ისეთი ცვლილებების რეფორმების საჭიროება, რომლებსაც შეუძლიათ გააუმჯობესონ სანივთო და ინტელექტუალური უფლებების მოპოვების წესრიგი, აამაღლონ საჯარო ხელმისაწვდომობა. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს საკანონმდებლო უზუსტობების აღმოფხვრას, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვებისა და რეგისტრაციის

პროცედურის გამარტივებას, მასზე კანონიერი მფლობელების უფლებების დაცვას.

მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა

სადოქტორო კვლევა დაფუძნებულია ინტერდისციპლინურ მიდგომაზე, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მნიშვნელოვანი მეთოდის შერწყმას, რაც მიზნად ისახავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული პრობლემების სრულყოფილ ანალიზს. ნაშრომში გამოყენებული მეთოდები მორგებულია კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე, რაც ხელს უწყობს ქონებრივ და ინტელექტუალურ უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი მექანიზმების კომპლექსურ განხილვას.

ჰერმენევტიკული მეთოდი: გამოყენებულია სამართლებრივი ტექსტების შინაარსობრივი, სტრუქტურული და ენობრივი ანალიზისთვის, რაც უკავშირდება საკუთრების, ქონების და მათზე უფლებათა მოპოვების ცნებების სწორ ინტერპრეტაციას. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტერმინოლოგიური და რედაქციული უზუსტობები ქმნის ინტერპრეტაციულ დაბრკოლებებს და პრაქტიკულ გაუგებრობებს.

ისტორიული მეთოდი: მიმართულია ქონებრივ ურთიერთობათა და საკუთრების უფლების განვითარების დინამიკის შესწავლისკენ, როგორც ქართულ სამართლებრივ ტრადიციებში, ასევე ძველ რომის სამართლიდან დაწყებული თანამედროვე ეტაპამდე. მეთოდი უზრუნველყოფს თანამედროვე რეგულაციების ფესვებისა და სამართლებრივი ევოლუციის სისტემურ გააზრებას.

შედარებით სამართლებრივი ანალიზი: მიმართულია საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შედარებაზე სხვადასხვა ქვეყნებთან. კვლევაში განხილულია როგორც ძველი რომაული დოქტრინა, ისე თანამედროვე ევროპული (განსაკუთრებით გერმანიისა და საფრანგეთის) და

საერთაშორისო ნორმატიული აქტები, რაც იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს კანონმდებლობითი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის რეკომენდაციები.

ანალიტიკურ-დესკრიპციული მიდგომა: გამოყენებულია ქონებრივი ობიექტების კლასიფიკაციის, მათზე უფლებების მოპოვების სამართლებრივი მექანიზმების და რეგისტრაციის პროცედურების აღწერისა და ანალიზისთვის. ეს მოიცავს როგორც უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების რეგისტრაციას, ასევე ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების მოპოვებას და საჯარო რეესტრთან და „საქპატენტთან“ დაკავშირებულ პრაქტიკულ და სამართლებრივ საკითხებს.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გეოინფორმაციული სისტემების (GIS) გამოყენების სამართლებრივი საფუძვლების და პრაქტიკული ასპექტების კვლევას, რაც უკავშირდება უძრავი ქონების სისტემურ რეგისტრაციასა და საზღვრების ზუსტ დადგენას. აღნიშნული ტექნოლოგიური კომპონენტის ჩართვა ემსახურება საკუთრების რეგისტრაციის პროცესების გამჭვირვალობის, სიზუსტისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციაში გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას იძლევა უკეთ იქნას გააზრებული საკუთრებისა და სანივთო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხების არსი, რაც საქართველოს სამართლებრივი სივრცისთვის ერთობ მნიშვნელოვანია. ამავდროულად, დისერტაციაში გამოყენებული წყაროები ფართო მასშტაბით აშუქებენ საკუთრების სოციალურ ფუნქციას, სანივთო სამართლის პრინციპებს, უძრავი ნივთების რეგისტრაციის სამართლებრივ მექანიზმებს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მნიშვნელობასა და ზოგადად, სანივთო და ინტელექტუალურ

უფლებათა მოპოვების პროცესს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე.

საკუთრების სოციალური ფუნქცია სამართალში ცენტრალური მნიშვნელობისაა, რომელსაც დიდი ადგილი უპყრია თანამედროვე სამართლებრივ დისკურსში. დისერტაციაში გაჟღერებული ლიტერატურა ეხება და განიხილავს საკუთრების უფლებას, როგორც არა მხოლოდ ინდივიდუალურ პრივილეგიას, არამედ საზოგადოებრივ ინტერესზე გათვლილ ინსტიტუტს. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება საკუთრების სოციალური ფუნქციის არსებობაზე სამართლებრივ სისტემებში როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს სამართლებრივ კონტექსტში.

სანივთო სამართლის პრინციპები განიხილება, როგორც საკუთრებისა და ნივთების სამართლებრივი მოწესრიგების ფუნდამენტი. ნაშრომში გამოყენებული თეორიული წყაროები ყურადღებას ამახვილებენ საკუთრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ თავისებურებებზე, მათ შორის, საკუთრების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებზე. აღნიშნული საკითხების ანალიზი საქართველოს სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებისთვის კარგი პირობაა, რადგან სანივთო სამართლის სფერო დამოუკიდებლობიდან დღემდე ჯერ კიდევ ვითარდება და საჭიროებს დასავლური გამოცდილების გააზრებას.

უძრავი ნივთების რეგისტრაცია სამართლებრივი წესრიგის ორბიტაზე ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რაც უზრუნველყოფს საკუთრების უფლების ჯეროვან დაცვას. ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა სხვადასხვა რეგისტრაციის სისტემებს აშუქებს და კვეტს მათ როლს საკუთრების დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული წყაროები მართლაც რომ ფასდაუდებელია, რადგან საქართველოს უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემა ჯერ კიდევ საჭიროებს ინსტიტუციურ გაძლიერებას.

ინტელექტუალური საკუთრება თანამედროვე სამართლის სწრაფად განვითარებადი სფეროა, რაც ინტელექტუალური შემოქმედების ობიექტების დაცვას და მათზე უფლებების განხორციელებას უკავშირდება. გამოყენებულ წყაროებში ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის, პატენტებს, საავტორო უფლებებს და საერთაშორისო წესრიგის სამართლებრივ მნიშვნელობას. ეს თემები აქტუალური ხდება განსაკუთრებით საქართველოს სამართლებრივი სინამდვილისთვის, სადაც ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარება პირდაპირ კავშირშია ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან.

დისერტაციის საკვანძო საკითხი, უფლებათა მოპოვება ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე, ფართო სპექტრის სამართლებრივ დისკუსიებს შეიცავს. გამოყენებული მეცნიერული ლიტერატურა მიმოიხილავს საკუთრების უფლებების მოპოვების სამართლებრივ მექანიზმებს, მათ შორის, გარიგების გზით, მემკვიდრეობით შემენისა და სხვა სამართლებრივი საშუალებებით. ამასთან, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე უფლებათა მოპოვება საყურადღებო საკითხია ქართული სამართლისთვის, რაც მოითხოვს ფართო კვლევასა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებას, რამეთუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების რიცხვს ინტელექტუალური სამართლის ობიექტებიც განეკუთვნება.

ამდენად, დისერტაციაში გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა, სასამართლო გადაწყვეტილებები და სხვა წყაროები, ქმნის ფასეულ ცოდნათა კრებულს საკუთრების, სანივთო და ინტელექტუალური სამართლის კვლევისთვის. თითოეული ეს წყარო იძლევა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას, რაც საქართველოს სამართლებრივი სისტემის, ასევე შემდგომი კვლევების განვითარების აუცილებელი საფუძველია.

ქართულენოვანი ლიტერატურა:

მონიკა გაბუნიას ნაშრომი *"საკუთრების სოციალური ფუნქცია მიწაზე საკუთრების უფლების განხორციელების კონტექსტში"*. ავტორი კვლევის შედეგად გადმოგვცემს, რომ საკუთრების უფლებას არა მხოლოდ პირადი, არამედ საზოგადოებრივი (სოციალური) მნიშვნელობაც აქვს. ავტორი დაწვრილებით განიხილავს, თუ როგორ შეიძლება საკუთრების უფლება იყოს ურთიერთმკვეთი სოციალურ ინტერესებთან, განსაკუთრებით მიწის საკუთრების კონტექსტში. კვლევა უზრუნველყოფს თეორიულ საფუძვლებს საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის გააზრებისა და შემეცნებისთვის, ყოველივე ეს მნიშვნელოვანია საქართველოში უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მომწესრიგებელი სამართლებრივი მექანიზმების განვითარებისთვის.

ბესარიონ ზოიძის ნაშრომი *„ქართული სანივთო სამართალი“* არის ფუნდამენტური კვლევა და ღირებული ნაშრომი ქართული მეცნიერებისათვის, რომელიც უკავშირდება და შეისწავლის სანივთო სამართლის ძირითად პრინციპებს და საქართველოში მის განვითარებას. ავტორი ღრმად იაზრებს საკუთრების უფლებას და ზოგადად ქონებასა და ქონებრივი ურთიერთობების საკითხებს, რითაც ქმნის ცოდნას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობის სამართლებრივი დისკურსისთვის. ნაშრომის განსაკუთრებული ღირებულება იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ქართული სანივთო სამართლის საკითხებს განიხილავს ისტორიულ კონტექსტში. ბესარიონ ზოიძე აღწერს ქართული სანივთო სამართლებრივი ტრადიციის ჩამოყალიბებას და ადგენს კავშირს სამართლებრივი ინსტიტუტების ცვლილებებსა და საზოგადოებრივ-ეკონომიკურ გარემოს შორის. მისი ანალიზი შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს, გაიგოს, როგორ განვითარდა საკუთრების უფლება საქართველოში და როგორ აისახა ეს პროცესები სამართლებრივ დოკუმენტებსა და ამა თუ იმ ნორმებში. ნაშრომი თანმიმდევრულად აშუქებს სანივთო სამართლის პრინციპებს, როგორებიცაა: საკუთრების დაცვის მექანიზმები, უძრავი

ქონების რეგისტრაცია, საჯარო და კერძო საკუთრების ურთიერთქმედება. ზოიძე განსაკუთრებულად განიხილავს საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის მნიშვნელობას და მის გავლენას კანონმდებლობისა და პრაქტიკული გამოყენების პროცესზე. „ქართული სანივთო სამართალი“ მნიშვნელოვანი ცოდნაა ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში, რამეთუ ის აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ ხედვებს, არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ სამართალი და სამართლის კვლევა არის თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობა. ავტორი მკაფიოდ ასურათებს ქართული სანივთო სამართლის სისტემასა და მის ისტორიულ განვითარებას. ნაშრომი ღირებული რესურსია არა მხოლოდ მეცნიერებისთვის, არამედ პრაქტიკოსი იურისტებისთვისაც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საკუთრების უფლებებისა და სანივთო სამართლის შესწავლით. ზოიძის ნაშრომი წარმოადგენს როგორც სამართლებრივი ცოდნის საფუძველს, ასევე ახალ პერსპექტივას ქართული სამართლებრივი კვლევებისათვის.

ბესარიონ ზოიძის მიერ 1999 წელს გამოქვეყნებული „სანივთო სამართალი“ შედარებით ადრეული ნაშრომია, რომელიც საფუძველს უყრის სანივთო სამართალს და მის გააზრებას საქართველოში. ნაშრომში განხილულია საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები და ნორმები, რაც შემდგომში უფრო დაწვრილებით გავრცობილია ავტორის 2003 წლის ნაშრომში.

ეკატერინე ლაფაჩის ნაშრომი „უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებაზე და დაცვაზე“ ერთადერთი კვლევაა, რომელიც სიღრმისეულად იკვლევს საქართველოში უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის პროცესს და მის გავლენას საკუთრების უფლებათა დაცვაზე. ნაშრომში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს რეგისტრაციის სამართლებრივ მექანიზმებზე, ამდენად, უძრავი ქონების სამართლებრივი პრაქტიკაც მკაფიოდაა განხილული. ავტორი აშუქებს, თუ როგორ უზრუნველყოფს რეგისტრაცია

საკუთრების უფლების დაცვას, მართლზომიერი მფლობელის მიერ საკუთრების უფლების მოპოვების თავისებურებებსა და საფუძვლებს და მესამე პირებისგან საკუთრების დაცვის გარანტიას. წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომში ხაზგასმულია, რომ რეგისტრაციის პროცესი არა მხოლოდ უფლებათა ფორმალური აღიარების მექანიზმია, არამედ საკუთრების სამართლებრივი პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას. ავტორი აგრეთვე განიხილავს რეგისტრაციის სისტემის მთავარ კრიტერიუმებს, მათ შორის საჯაროობის პრინციპს. კვლევაში ხაზგასმულია, რომ რეგისტრაციის პროცესის გაუმართავი სამართლებრივი წესრიგი და მექანიზმები შეიძლება საკუთრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში დავების გამომწვევი ძირითადი წყარო იყოს. შესაბამისად, ლაფაჩის ნაშრომი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არა მხოლოდ საკუთრების უფლებათა დაცვის თეორიულ გააზრებას, არამედ სთავაზობს პრაქტიკულ ცოდნასა რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესებას. საქართველოს კონტექსტში, სადაც უძრავი ნივთების რეგისტრაციის სისტემის განვითარება აუცილებელია როგორც შიდა სამართლებრივი პრაქტიკისთვის, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციისთვის, რაც, დიახ, ევროკავშირში ინტეგრაციას უკავშირდება, კვლევა აქტუალურია. ეკატერინე ლაფაჩი ასაბუთებს, რომ რეგისტრაციის სისტემის გამართული მოქმედება ქმნის სამართლებრივი სისტემის განვითარების წინაპირობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვისთვის და უძრავი ქონების ბაზრის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. ამდენად, ნაშრომი ფასდაუდებელი წყაროა როგორც დისერტაციისთვის, ასევე ზოგადად მეცნიერებისთვის, რომელიც არა მხოლოდ ააშკარავებს რეგისტრაციის სისტემის კრიტიკულ ასპექტებს, არამედ სთავაზობს სამართლებრივი პრაქტიკისა და პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებებს, რაც აუცილებელია საკუთრების უფლებების დაცვისა და განვითარებისათვის თანამედროვე საქართველოში.

დავით ძამუკაშვილის ნაშრომი „*ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი*“ წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ სიღრმისეულ ნაშრომს ამ დარგისა. ავტორი აშუქებს ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი წესრიგის საფუძვლებს, დარგის ისტორიას, თეორიულ და პრაქტიკულ თავისებურებებს. განიხილავს როგორც საქართველოს სამართლებრივი სინამდვილის, ასევე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობას საერთაშორისო თვალსაზრისით. ძამუკაშვილი აანალიზებს ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა სფეროს, მათ შორის საავტორო უფლებებს, პატენტებს, სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის დაცვის საკითხებს. ნაშრომი ხაზს უსვამს იმას, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართალი არის ერთ-ერთ მთავარი მნიშვნელობის სამართლისეული დარგი, რომელიც ხელს უწყობს სიახლისა და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას, გამომგონებლისა და ავტორის უფლებების დაცვას. ავტორი მიუთითებს იმ თავისებურებებსა და საჭიროებებზე, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესთან. ავტორი განიხილავს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ მექანიზმებს, მათ შორის, სასამართლო პრაქტიკასა და უფლებათა მოპოვების ადმინისტრაციულ საკითხებს, რაც ქმნის პრაქტიკული პრობლემების გამოსავლენად საჭირო თეორიულ საფუძველს. გლობალური კონტექსტის განხილვა ნაშრომს დამატებით მნიშვნელობას სძენს. ძამუკაშვილი აღნიშნავს, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და ავტორთა და გამომგონებელთა შესაძლებლობების გამომჟღავნებასთან. ნაშრომი გამოკვეთს, რომ გლობალიზაციის პირობებში ინტელექტუალური საკუთრების წესრიგის სისტემების თანხვედრა და საერთაშორისო ნორმების დაცვა აუცილებელია საქართველოსთვის. ამგვარად, დავით ძამუკაშვილის ნაშრომი წარმოადგენს კარგ საფუძველს როგორც მეცნიერებისთვის, ისე პრაქტიკოსებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინტელექტუალური საკუთრების იურიდიული საკითხებით.

ნაშრომი არა მხოლოდ განიხილავს არსებული პრობლემების მიზეზებს, არამედ სთავაზობს რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებას საქართველოს სამართლებრივ სისტემაში.

დავით ძამუკაშვილის ადრეული ნაშრომი *"ინტელექტუალური საკუთრების სამართალი"* წარმოადგენს ამ დარგის საფუძვლების ანალიზს საქართველოში. ნაშრომში ასახულია იმდროინდელი სამართლებრივი წესრიგი და ინტელექტუალური საკუთრების უფლების მოპოვებისა და დაცვის სფეროში არსებული თავისებურებები.

ლადო ჭანტურიას ნაშრომი *„უძრავი ნივთების საკუთრება“* თავის საკვანძო თემატიკას უძღვნის საკუთრების უფლების იურიდიულ არსსა და პრაქტიკულ მნიშვნელობას უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. ავტორი მიზნად ისახავს არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმების განმარტებას, არამედ მათი სისტემური და ფუნქციური ანალიზის ჩამოყალიბებას, რაც მკვლევრებსა და მკითხველს აძლევს შესაძლებლობას საკუთრების მომწესრიგებელი სამართლებრივი მექანიზმები უფრო ღრმად გაიაზრონ და შეიმეცნონ. ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საკუთრების უფლების სოციალურ და ეკონომიკურ შინაარსზე, რაც ამ სისტემას გაცილებით ფართო ღირებულებას ანიჭებს, ვიდრე მხოლოდ ინდივიდუალური უფლებების განსახორციელებელ მექანიზმს. ჭანტურია ამბობს, რომ საკუთრების სამართლებრივი ბუნება აუცილებლად მოიცავს პასუხისმგებლობასაც, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობაზე მორგებულ გამოყენებას გულისხმობს. ავტორი აღწერს უძრავი ქონების სამართლებრივი სტატუსის თავისებურებებს და ეხება იმ საკითხებს, რომლებიც ქონებრივ ურთიერთობებში საკვანძოა. კვლევაში შთამბეჭდავად არის წარმოჩენილი უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესი. რეგისტრაციის გამჭვირვალობა და საჯაროობა, ჭანტურიას ხედვით, არა მხოლოდ საკუთრების დაცვის გარანტიაა, არამედ მიწის ბაზრის ეკონომიკური

განვითარების ინსტრუმენტიც. ნაშრომი გამოირჩევა იმითაც, რომ საკუთრების საკითხებს არა იზოლირებულად, არამედ სამართლებრივი, ისტორიული და სოციალური კონტექსტის თანხვედრაში განიხილავს. ავტორი ამგვარი მიდგომით ადასტურებს, რომ უძრავი ქონების სამართლებრივი წესრიგი პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ და კულტურულ გარემოზე. ამ მრავალფეროვანი ანალიზით, „*უძრავი ნივთების საკუთრება*“ არა მხოლოდ იურიდიული ტექსტია, არამედ შესანიშნავი პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც თანამედროვე იურისტებისა და მკვლევარებისთვის ღირსეულ და უალტერნატივო რესურსს წარმოადგენს. ავტორის ხედვა საკუთარი ფორმულირებების გამორჩეულობითა და ღრმა ინტელექტუალური ანალიზით ამდიდრებს ქართულ სამართლებრივ სივრცეს.

ლადო ჭანტურიას ნაშრომი "*სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა*" ასახავს სასამართლო პრაქტიკის და სამართლებრივი მიდგომების ანალიზს. ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საქმეების განხილვის თავისებურებებზე და სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, რაც საუკეთესო გზამკვლევაა სამართლის მკვლევარებისთვის.

ინტელექტუალური საკუთრება და მისი სამართლებრივი ასპექტები:

Stim-ის 2022 წლის ნაშრომი, სახელწოდებით "*Patent, Copyright, and Trademark: An Intellectual Property Desk Reference*", არის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ერთ-ერთ ავტორიტეტული კვლევა და სიღრმისეული შინაარსის სახელმძღვანელო. ავტორი გამორჩეული სიზუსტით განიხილავს ინტელექტუალური საკუთრების ძირითადი ელემენტების – პატენტის, საავტორო უფლებებისა და სასაქონლო ნიშნების – სამართლებრივ წესრიგს. ნაშრომი ეფუძნება როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე პრაქტიკას,

რაც მკითხველს, მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს, უფრო სიღრმისეულად შეიმეცნოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი პრინციპები და მათთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები. ნაშრომში ავტორი ყურადღებას ამახვილებს პატენტის მოპოვების თავისებურებებზე, როგორც სიახლისა და ტექნოლოგიური განვითარების სამართლებრივ მექანიზმზე. იგი განიხილავს პატენტის მიღების პროცედურებს, მათ სამართლებრივ საფუძვლებსა და სამოქმედო არეალს. ამასთან, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პატენტის დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ნორმებზე, მათ შორის, ისეთ ინსტიტუტებზე, როგორებიცაა PCT (Patent Cooperation Treaty) და TRIPS (Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights). საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, Stim ახლებურად წარმოგვიდგენს საავტორო უფლებების განვითარებას, თანამედროვე დროში არსებულ პრობლემებსა და ციფრული ეპოქის გავლენას ამ სფეროზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საავტორო უფლებების დაცვასა და სამართლებრივ მექანიზმებს, რომლებიც მიზნად ისახავს შემოქმედების დაცვის უზრუნველყოფას, განსაკუთრებით პლაგიატისა და საავტორო უფლებების დარღვევის საკითხებში. ნაშრომის სასაქონლო ნიშნების ნაწილში ავტორი სიღრმისეულად განიხილავს სასაქონლო ნიშნების მნიშვნელობას, როგორც მეწარმეთა სამართლებრივი დაცვის ძირულ ასპექტს. იგი მკაფიოდ განმარტავს რეგისტრაციის პროცესს, მფლობელთა უფლებებსა და სასაქონლო ნიშნების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასაქონლო ნიშნების დაცვას გლობალიზაციის პირობებში და საერთაშორისო ბაზრებზე „ბრენდების“ სამართლებრივი დაცვის პრობლემატიკას. ნაშრომი გამოირჩევა მეცნიერული სიღრმითა და პრაქტიკული გამოყენების პოტენციალით, რაც მას უნიკალურ რესურსად აქცევს როგორც აკადემიური საზოგადოებისთვის, ისე პრაქტიკოსი იურისტებისთვის. Stim-ის ტექსტი მნიშვნელოვანი მასალაა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სრულყოფილად გააზრებისთვის და ამ დარგის შემდგომი განვითარების ხელშეწყობისთვის.

Sen A., 2012. ამარტია სენის ნაშრომი "*Elements of a Theory of Human Rights*" ადამიანის უფლებათა თეორიულ ასპექტებს ეხება, სადაც საკუთრების უფლება განხილულია, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება. ეს ნაშრომი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართლებრივი თეორიის განვითარების კუთხით. სენი საკუთრების უფლებას არა მხოლოდ ინდივიდუალური თავისუფლების შემადგენელ ნაწილად, არამედ სოციალური სამართლიანობისა და განვითარების პირობად განიხილავს. მისი მიდგომა სამართლებრივი თეორიის განვითარებისთვის დადებითია, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანის უფლებები ცალკეულად კი არა, არამედ ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში უნდა იქნას გააზრებული. ეს ნაშრომი განსაკუთრებით საყურადღებოა მმართველობის, სამართლებრივი პლურალიზმისა და ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევების შესწავლისას.

Bugbee-ის 1967 წლის ნაშრომი, სახელწოდებით "*Genesis of American Patent and Copyright Law*", არის ავტორიტეტული კვლევა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი სისტემის ფორმირების პროცესს აშუქებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ავტორი ისტორიულ პერსპექტივაზე დაყრდნობით განიხილავს პატენტისა და საავტორო უფლებების სამართლებრივ ინსტიტუტებს, რაც ხელს უწყობს ამ სფეროს უკეთესად წარმოჩენას, გაგებასა და მეცნიერულ გააზრებას თანამედროვე სამართლებრივი სისტემისთვის. კვლევით ნაშრომში ავტორი მიმოიხილავს ამერიკის კონსტიტუციის იმ მუხლებსა და დებულებებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ინტელექტუალური საკუთრების სისტემის ჩამოყალიბებას. Bugbee მკითხველს სთავაზობს ღრმა ანალიზს იმ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებზე, რომლებმაც ხელი შეუწყო პატენტისა და საავტორო უფლებების იდეების განვითარებას და მათ სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას. პატენტის სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვისას ავტორი

განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საგამომგონებლო საიხლესა და ზოგადად ტექნოლოგიური პროგრესის წახალისებაზე, რაც საპატენტო სამართლის სისტემის ერთ-ერთ უმთავრესი მიზანია. ნაშრომში საუბარია სამართლებრივ და პოლიტიკურ პროცესებზე, რომლებმაც ხელი შეუწყო პატენტის მფლობელის დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბებასა და მათ პრაქტიკაში გამოყენებას. საავტორო უფლებების ანალიზში Bugbee ასახავს არა მხოლოდ ამ ინსტიტუტის სამართლებრივ წესრიგს, არამედ მის კულტურულ და სოციალურ როლსაც. იგი ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორ მიენიჭა საავტორო უფლებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა განათლების, ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაში, რაც გადამწყვეტი იყო ამერიკული საზოგადოების ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გაზრდისთვის. ნაშრომი გამოირჩევა ქრონოლოგიური მიდგომით, რაც იძლევა შესაძლებლობას, ნაბიჯ-ნაბიჯ გაეცნოს მკვლევარი იმ სამართლებრივი და ისტორიული მოვლენების ერთობლიობას, რომლებმაც საფუძველი დაუდო თანამედროვე ამერიკული ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ სისტემას. Bugbee-ს კვლევა მოიცავს როგორც ეროვნული დონის საკითხებს, ისე საერთაშორისო გავლენებს, რაც ნაშრომს მრავალმხრივ, მულტი და ინტერ დისციპლინურ ხასიათს სძენს და ინტელექტუალური საკუთრების განვითარების საკითხების შესწავლას ახალ ჭრილში წარმოაჩენს. ეს ნაშრომი შეუცვლელი წყაროა სამართლის ისტორიკოსებისა და ინტელექტუალური საკუთრების მკვლევართათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ ამერიკული სამართლებრივი სისტემის განვითარებით, არამედ იმ იდეებისა და ფასეულობების შემეცნებით, რომლებმაც ეს სისტემა ჩამოაყალიბა.

Bouchoux D. E., 1999. დარელ ბუჩუქსის ნაშრომი *"Intellectual Property: The Law of Trademarks, Copyrights, Patents, Trade Secrets"* მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების ძირითადი კატეგორიების პრაქტიკულ სამართლებრივ ასპექტებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადისერტაციო კვლევის არგუმენტირებული მსჯელობების გასამყარებლად.

WIPO, 2016. "*Understanding Copyright and Related Rights*" არის საერთაშორისო პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც შეეხება საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების შინაარსს. ეს ნაშრომი ინტელექტუალური საკუთრების წესრიგის ძირითადი პრინციპების გასააზრებლად ღირებულია.

ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი და ეკონომიკური გაგება ურთიერთმკვეთია. Landes და Posner თავიანთ ნაშრომში "*The Economic Structure of Intellectual Property Law*" (2003) იკვლევენ ეკონომიკურ მოდელებს, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების, კერძოდ გამოგონების შექმნის პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ. ეს ნაშრომი ხაზს უსვამს საკუთრებისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირს, რაც საფუძვლად უდევს თანამედროვე ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ სისტემებს.

Lemley თავის ნაშრომებში (2005, 2015) აკრიტიკებს ინტელექტუალური საკუთრების "უფასო სარგებლობის" ფენომენს და აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება საკუთრების უფლების დაცვის უფრო ეფექტური მექანიზმების შემუშავება. მისი კვლევა ეყრდნობა John Locke-ის მფლობელობის თეორიებს, რომლებიც *Second Treatise*-შია განხილული. ლოკის ნაშრომი, რომელიც ადამიანის შრომასა და საკუთრებაზე აკეთებს აქცენტს, ინტელექტუალური საკუთრების ფილოსოფიური საფუძვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

Moore-ის 2011 წლის ნაშრომი, სახელწოდებით "*Intellectual Property*", გამორჩეული ანალიზია, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ფილოსოფიურ და თეორიულ საფუძვლებს განიხილავს. ავტორი დაწვრილებით აღწერს და მიმოიხილავს საკუთრების მორალური და სამართლებრივი პრინციპების არსს და იკვლევს, როგორ მოქმედებს ეს პრინციპები საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, მათ შორის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებზე.

ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საკუთრების იდეის ფილოსოფიური გააზრება, რომელიც ეფუძნება კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს. Moore უკავშირებს ინტელექტუალური საკუთრების მორალურ საფუძვლებს ადამიანის შემოქმედებით თავისუფლებას, სიახლესა და საზოგადოების განვითარებას. ის განსაზღვრავს, თუ როგორ აყალიბებს საკუთრების უფლებები ინდივიდებს შორის ურთიერთობების სტრუქტურას და როგორ განაპირობებს ეს სტრუქტურა ეკონომიკური და სოციალური ინსტიტუტების მუშაობას. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინტელექტუალური საკუთრების პირადი არაქონებრივი უფლებების საკითხს. Moore აკრიტიკებს და აანალიზებს არსებულ სამართლებრივ სისტემებს. ნაშრომი განიხილავს ბალანსს ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და საზოგადოების საჭიროებებს შორის, რაც უზრუნველყოფს როგორც შემოქმედებითი თავისუფლების დაცვას, ისე ზოგადი საზოგადოების კეთილდღეობას. *"Intellectual Property"* ასევე შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა ციფრული ეპოქის პრობლემური თავისებურებანი ინტელექტუალური საკუთრების სამართალში, საერთაშორისო ნორმების გავლენა ეროვნულ წესრიგზე და საკუთრების უფლების გლობალური ჰარმონიზაციის შესაძლებლობები. Moore ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ისე, რომ უზრუნველყოს ტექნოლოგიური და სოციალური წინსვლა, ხოლო ამავე დროს დაიცვას შემოქმედთა, გამომგონებელთა უფლებები. Moore-ის ნაშრომი არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობისაა, რადგან ის სთავაზობს მკითხველს ახალ ხედვას ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობაზე თანამედროვე საზოგადოებაში. ეს ნაშრომი ღირებულია როგორც სამართლის თეორეტიკოსების, ისე პრაქტიკოსი იურისტების საქმიანობაში, რადგან ის ინტელექტუალური საკუთრების მორალურ და სამართლებრივ პრინციპებს აერთიანებს და მათ ახალი, ღრმა და სისტემური თვალსაზრისით წარმოაჩენს.

ინტელექტუალური საკუთრების ისტორიულ განვითარებასა და მის კულტურულ როლს შეეხება Nascimento (2016), რომელიც იკვლევს პირველი პატენტების გავლენას შუშის ტექნოლოგიების განვითარებაზე. ის აჩვენებს, როგორ უწყობდა ხელს საპატენტო სამართლისეული სისტემის ფორმირება ტექნოლოგიურ პროგრესს, რაც დადებითად აისახა ინდუსტრიულ რევოლუციაში.

Op den Kamp და Hunter თავიანთ ნაშრომში *"A History of Intellectual Property in 50 Objects"* (Cambridge) ფართოდ განიხილავენ ინტელექტუალური საკუთრებას პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. ეს კვლევა დაწვრილებით აშუქებს საპატენტო და საავტორო სამართლისეულ ობიექტებზე საკუთრების უფლების მოპოვების სამართლებრივ თავისებურებებს.

Kanagavel (2003) თავის ნაშრომში იკვლევს პატენტების, სავაჭრო ნიშნების და საავტორო უფლებების ფუნქციონალურობას საერთაშორისო კონტექსტში, რაც წინამდებარე დისერტაციაში გამოყენებულია შედარებითსამართლებრივი კვლევის კონტექსტში.

გეოგრაფიული ასპექტები და საკუთრების სოციალური გავლენა:

Bramley C., 2023. *"A Review of the Socio-Economic Impact of Geographical Indications: Considerations for the Developing World"* განიხილავს გეოგრაფიული აღნიშვნების სოციალურ და ეკონომიკურ გავლენას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ეს ნაშრომი ნათლად წარმოაჩენს თუ რა დიდი როლი აქვს გეოგრაფიას სამართალში, რაც ხაზს უსვამს დარგის ინტერ და მულტი დისციპლინურ ხასიათს.

Braverman I., 2010. ბრავერმანის ნაშრომი *"Hidden in Plain View: Legal Geography from a Visual Perspective"* იკვლევს სამართლებრივ გეოგრაფიას ვიზუალური მიდგომიდან, რაც

უზრუნველყოფს საკუთრების ურთიერთობების და გეოგრაფიული მონაცემების ინტერდისციპლინურ ანალიზს.

Bowers K. J., Johnson S. D., 2004. *"Using Geographic Information Systems in Crime Analysis"* აღწერს გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (GIS) გამოყენებას სამართლებრივი ანალიზის პროცესში. ეს ნაშრომი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გეოგრაფიული მონაცემები გამოყენებული იყოს საკუთრების დაცვისა და სამართლებრივი წესრიგის გაუმჯობესებისთვის.

Verschuuren B., 2007. *"An overview of cultural and spiritual values in ecosystem management and conservation strategies"* კვლევა მიემართება ეკოსისტემების მართვაში კულტურული და სულიერი ღირებულებების წარმოჩენისკენ. ნაშრომი სასარგებლოა მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიური დაცვის საკითხების სამართლებრივი და სოციალური ასპექტების კვლევისთვის.

Ventura S. J., 1995. *"The use of geographic information systems in local government"* აღწერს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) გამოყენებას ადგილობრივ მმართველობაში. ნაშრომი ხაზს უსვამს GIS ტექნოლოგიის როლს მიწის მართვასა და რეგისტრაციის პროცესში.

Whitecross R. *"Migrants, settlers and refugees: Law and the contestation of 'citizenship' in Bhutan"* იკვლევს მოქალაქეობის, მიგრაციისა და მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებს ბჰუტანის კონტექსტში. ნაშრომი იკვლევს სამართლებრივი გეოგრაფიის მნიშვნელობას სოციალურ პროცესებში.

Tarasovičová Z., Saksa M., Blažík T., Faltán V., 2013. ნაშრომი *"Changes in agricultural land use in the context of ongoing transformational processes in Slovakia"* ანალიზებს სოფლის

მეურნეობაში მიწის გამოყენების ცვლილებებს სლოვაკეთის გარდამავალი პროცესების ფონზე. კვლევა დეტალურად განიხილავს, თუ როგორ აისახება სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები მიწის მენეჯმენტსა და გამოყენებაზე, ასევე საკუთრების უფლების მოპოვების პროცესში.

Tanawijaya H., Velisia M., 2022. "*Legality of transfer of land rights through selling buy under hands according to land law*" განიხილავს მიწაზე საკუთრების უფლებათა გადაცემის სამართლებრივ მექანიზმებს ინდონეზიის სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში. ნაშრომი ეფუძნება ცალკეულ სასამართლო საქმეს, რაც აუმჯობესებს დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაგებას.

Vollrath D., 2012. ნაშრომი "*Land tenure, population, and long-run growth*" იკვლევს მიწის საკუთრების სოციალურ და სამართლებრივ შინაარსს, დემოგრაფიულ ზრდას და ამ პროცესის გავლენას გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებაზე. Vollrath-ის კვლევა ხაზს უსვამს მიწის საკუთრების მომწესრიგებელი სამართლებრივი სისტემის ეკონომიკურ მნიშვნელობას

Kerski (2008) თავის ნაშრომში "*The Role of GIS in Digital Earth Education*" იკვლევს GIS-ის მნიშვნელოვან როლს განათლებასა და საზოგადოებრივ საქმეში. GIS ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც მონაცემთა ვიზუალიზაციის, ისე სივრცითი ანალიზის საშუალება, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ სამართლებრივი პროცესების სამართავად.

Leipnik (2007) განიხილავს GIS-ის გამოყენებას კიბერუსაფრთხოებაში და ტერორიზმთან ბრძოლაში, რაც თანამედროვე ციფრული გარემოსთვის ერთობ მნიშვნელოვანია. მისი კვლევა ამტკიცებს, რომ GIS ტექნოლოგიები აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებისთვის.

Lerman (2004) ყურადღებას ამახვილებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიწის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემის პროცესზე, განსაკუთრებით საქართველოს მაგალითზე. ეს ნაშრომი წარმოაჩენს მიწის მართვისა და საკუთრების უფლების მნიშვნელობას, რაც დაკავშირებულია გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემებისა და სამართლებრივი წესრიგის ურთიერთკვეთასთან.

საკუთრების სამართლებრივი და პრაქტიკული საკითხები:

Demetriou D., 2014. *"Land Consolidation in Cyprus: Why is an Integrated Planning and Decision Support System Required?"* იკვლევს მიწის კონსოლიდაციას კვიპროსში. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და სასოფლო-სამეურნეო სისტემაში კერძო კოოპერატივების სისტემის გაუმჯობესებაზე მიწის ეფექტური მართვის კონტექსტში.

Das K., Chatterjee R., 2016. *"Geospatial Analysis in the Resolution of India-Bangladesh Enclave Issue"* ავტორი გვთავაზობს გეო სივრცითი ანალიზის როლს სახელმწიფო საზღვრების დადგენის პროცესში, რაც სამართლიანი საკუთრების უფლებების უზრუნველყოფისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. იკვლევს დემარკაციის როლს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვის კონტექსტში.

Foreman S., 2012. *"Copyright Law: World Study"* მიმოიხილავს საერთაშორისო მასშტაბით ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ პრინციპებს, რაც შედარებით სამართლებრივი კვლევის ანალიზისთვის ერთობ სასარგებლოა.

Fritz B., 1981. *"Lehrbuch des Sachenrechts"* კლასიკური და ავტორიტეტული ნაშრომია სანივთო სამართლის სფეროში, რომელიც სიღრმისეულად იკვლევს საკუთრების, ქონებისა და

სხვა სანივთოსამართლისეულ ცნებებს, ასევე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვების სამართლებრივ თავისებურებებს.

Grgić A., Mataga Z., Longar M., & Vilfan A., 2007. *"The Right to Property Under the European Convention on Human Rights"* საკუთრების უფლების საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის შესწავლას ეძღვნება. ეს ნაშრომი განსაკუთრებით ფასეულია ევროპულ სამართლებრივ კონტექსტში საკუთრების უფლებათა დაცვის გაგებისთვის.

Gowers A., 2006. *"Gowers Review of Intellectual Property"* წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების შესახებ თეორიულ წყაროს, რომელიც აქცენტს აკეთებს საავტორო უფლებების, პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების დაცვის მექანიზმებზე.

სამართლებრივი პრეცედენტების ანალიზი

დისერტაციის თემის გათვალისწინებით, აღნიშნული პრეცედენტული გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი განვითარების არგუმენტირებულ ანალიზს და გვიყალიბებს სიღრმისეულ შეხედულებას საკუთრების უფლების დაცვასა და მისი საზღვრების დადგენაზე პრაქტიკაში.

Federal Administrative Court (Bundesverwaltungsgericht), 9 November 2021, Case Reference: 4 C 1.20

ეს გერმანული სასამართლოს გადაწყვეტილება ღირებული მაგალითია, რომელიც წარმოაჩენს ინტელექტუალური საკუთრებისა და ადმინისტრაციული სამართლის ურთიერთმიმართებას. აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება დისერტაციაში გამოყენებული

სამართლებრივი პრინციპების საერთაშორისო შედარების განსახილველად.

Feist Publications, Inc. v. Rural Telephone Service Co., Inc. (1991)

ამერიკის უზენაესი სასამართლოს წინამდებარე პრეცედენტი განსაზღვრავს საავტორო უფლებების დაცვის ქვაკუთხედს, კერძოდ, იმ შინაარსს, რომელიც "შემოქმედებითობის მინიმალურ დონეს" არ აკმაყოფილებს და, შესაბამისად, დაცვას არ ექვემდებარება. ეს საქმე ასახავს საავტორო უფლებების საზღვრების მკაფიო დადგენას და სადისერტაციო კვლევისათვის აუცილებელია.

Bateman v. Mnemonics, Inc. (1996)

ამ პრეცედენტში საავტორო უფლებების ხელშეკრულებით გადაცემისა და საკუთრების უფლების ტექნოლოგიურ პროდუქტებზე გავრცელების საკითხებია განხილული. იგი მნიშვნელოვანია დისერტაციისთვის, რადგან იგი იძლევა შესაძლებლობას, განვიხილოთ, როგორ შევიდა საავტორო უფლებები ტექნოლოგიურ სფეროებში და როგორ მოქმედებს ინტელექტუალური სამართლის საკუთრების პრინციპები ციფრულ ეპოქაში.

Star Athletica, L.L.C. v. Varsity Brands, Inc. (2017)

ამ საქმეში უზენაესი სასამართლო სწავლობს ფუნქციურობისა და თვალსაჩინოების კონფლიქტს დიზაინის ინტელექტუალურ საკუთრებაში. პრეცედენტი განსაკუთრებით რელევანტურია დისერტაციისთვის, რადგან იგი ავლენს საკუთრების უფლების საზღვრებს დიზაინის სფეროში.

A&M Records, Inc. v. Napster, Inc. (2001)

სასამართლოს პრეცედენტი შეეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას ციფრულ გარემოში და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს "Peer-to-Peer" ტექნოლოგიების გავლენას საავტორო უფლებებზე. წინამდებარე სასამართლოს გადაწყვეტილება სადისერტაციო ნაშრომში ღირებული წყაროა ციფრული ეპოქის პრობლემური თავისებურებებისა და საკუთრების დაცვის საჭიროებების ანალიზისთვის.

Campbell v. Acuff-Rose Music, Inc. (1994)

ამ საქმეში უზენაესი სასამართლო განმარტავს "Fair Use"-ის (სამართლიანი გამოყენება) პრინციპს, რაც საავტორო უფლებების დაცვის კონტექსტში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. აღნიშნული პრეცედენტი ასევე ღირებულია სადისერტაციო ნაშრომისთვის.

კვლევის შედეგები, მიგნებები და მეცნიერული განსჯა

სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა კომპლექსური კვლევა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ავტორს ქონებრივი და ინტელექტუალური უფლებების დოგმატური სტრუქტურის, სამართლებრივი რეჟიმებისა და პრაქტიკული განხორციელების სრულფასოვანი შეფასება ჩაეტარებინა. კვლევამ არა მხოლოდ გააანალიზა არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, არამედ გამოავლინა რიგი მწყობრი და სისტემური ხარვეზები, რომელთა მოგვარება აუცილებელია ქონებრივი ურთიერთობების გაუმჯობესებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

1. სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის რედაქციული ხარვეზი: დადგენილია, რომ მოქმედი რედაქცია

ტერმინოლოგიური და ლოგიკური თვალსაზრისით არასწორად გვთავაზობს ქონების ობიექტების კლასიფიკაციას, რის შედეგადაც მატერიალურ სიკეთეს შესაძლოა მიენიჭოს არაქონებრივი ღირებულება, რაც სამართლებრივად გაუმართავია. ავტორის მიერ შემოთავაზებული რედაქცია (ქონებრივი ღირებულების მატერიალური და ქონებრივი/არაქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთე) გამორიცხავს არსებით შეცდომას და ქმნის თანხვედრას ქონების ახალი, ავტორისეული განსაზღვრების — „სამართლებრივი ძალაუფლების ნაყოფის“ — შინაარსთან.

2. ქონების ცნების დოგმატური განვითარება:

დისერტანტმა შეიმუშავა ფუნქციურად გაწონასწორებული და თეორიულად დასაბუთებული დეფინიცია ქონების შესახებ, რომელიც აერთიანებს კლასიკურ რომაულ-იურიდიულ პოზიციებს, პრუდონისეულ კრიტიკულ ხედვასა და თანამედროვე სოციალური ფუნქციის თეორიას. ამრიგად, წარმოდგენილია ქონების ინტეგრირებული დეფინიცია, როგორც სამართლებრივი ძალაუფლების სამართლებრივ-ფილოსოფიური გამოხატულება.

3. არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების დიფერენცირება: გამოკვეთილია, რომ მოქმედი კანონმდებლობა სათანადოდ ვერ ასახავებს ინტელექტუალურ და სანივთო სამართლის არამატერიალურ ობიექტებს. ავტორი ასაბუთებს, რომ ინტელექტუალური სიკეთე უნდა განისაზღვროს როგორც იდეალური სხეულის მქონე ობიექტი, რაც სისტემურად უნდა გამოიხატოს კანონმდებლობაში.

4. სასელექციო უფლება როგორც ცალკე სამართლებრივი ინსტიტუტი: დასაბუთდა, რომ სასელექციო უფლებები არსობრივად განსხვავდებიან სამრეწველო საკუთრების კლასიკური ფორმებისგან და საჭიროებენ ცალკე სამართლებრივ რეგულირებას. აღნიშნული მიდგომა

შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან (UPOV), რაც გამყარებულია დოქტრინალური და პრაქტიკული არგუმენტებით.

5. მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სამართლებრივი კვალიფიკაცია: ნაშრომში დასტურდება, რომ აღნიშნული ობიექტები გამოთიშულია მოძრავი ნივთის სამართლებრივი რეჟიმიდან არა მხოლოდ მათი ბუნებრივი მახასიათებლების, არამედ ნორმატიული კატეგორიზაციის გამო. ავტორის პოზიციაა, რომ ასეთ ობიექტებზე უნდა მოქმედებდეს სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, ცალკე სამოქალაქო სამართლის მექანიზმების ფარგლებს გარეთ.

6. მიწის საკუთრების მიზნობრივი გამოყენების ვალდებულება: დისერტანტი ასაბუთებს, რომ მესაკუთრისთვის მიზნობრივი გამოყენების ვალდებულების სამართლებრივი რეგულაცია უნდა გაძლიერდეს პოზიტიური ვალდებულებების დანერგვით. შეთავაზებულია ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი რეგულაციების სისტემური მიმოხილვა და მათი გამოკვლევის შედეგად რეკომენდირებული სპეციალური ნორმების აღდგენა და ჰარმონიზაცია ევროპულ პრაქტიკასთან.

7. გეოსივრცითი მონაცემების როლი საკუთრების რეგისტრაციაში: ნაშრომში წარმოჩენილია საკომლო წიგნების სიზუსტის დეფიციტი, როგორც საკუთრების სტაბილურობისა და საჯაროობის პრინციპის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება.

8. ქონების ცნების მოდერნიზაცია (147-ე მუხლი): დასკვნაში ფორმულირებულია ქონების ახალი დეფინიცია, რომელიც სისტემურად შეესაბამება საკუთრების თანამედროვე სოციალურ-ფუნქციურ კონტექსტს და ქმნის კანონმდებლობის ინტერპრეტაციისთვის ერთიან თეორიულ და პრაქტიკულ ჩარჩოს.

დასკვნითი შეფასება: ნაშრომის ძირითადი მიგნებები არ შემოიფარგლება არსებული მდგომარეობის კრიტიკით; მათ საფუძვლად უდევს კონსტრუქციული ხედვა, რომელიც მიმართულია კერძო სამართლის დოგმატიკის გადრეზავასა და სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებაზე. დისერტანტის მიდგომა გამოირჩევა როგორც თეორიული არგუმენტაციის სიღრმით, ისე პრაქტიკული პრობლემების მეცნიერული ანალიზით, რაც კვლევას ანიჭებს მაღალ მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

დასკვნა/რეკომენდაციები

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა მოიცავს 2021 წლიდან 2024 წლამდე დროის მონაკვეთს. 2022 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე კვლევა მიმდინარეობდა უნგრეთში, ეოტვოს ლორანდის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უნგრეთის პარლამენტში, პიტერ პაზმანის კათოლიკურ უნივერსიტეტსა და უნგრეთის ნოტრაიუსთა პალატაში; 2023 წლის თებერვლიდან აპრილამდე სლოვაკეთში, იან კომენსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრაზე, ხოლო 2024 წლის სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით აშშ-ში, ბრიგჰემ იანგისა და ნოტრ დამის უნივერსიტეტებში.

ჩატარებული სადისერტაციო კვლევის შედეგებმა მომცა შესაძლებლობა წარმოვადგინო ქვემოთ მოცემული დასკვნები, რომლებიც შესაბამისობაშია ამ დისერტაციის მიზნებსა და ამოცანებთან და ესადაგება გამოთქმულ ჰიპოთეზას.

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის ტექსტი: „კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული“, - რედაქციულად უზუსტოა, რადგან ვერ გადმოსცემს ნაგულისხმევ

შინაარსს, რომელსაც ქართველი მეცნიერები ცალსახად განმარტავენ ლიტერატურაში, მათ შორის, სამოქალაქო კოდექსის კომენტარებსა და სახელმძღვანელოებში. ტექსტი ისე იკითხება, თითქოს მატერიალური სიკეთე, ანუ სხეულის მქონე ნივთი შეიძლება იყოს არაქონებრივი ღირებულებისაც, რაც შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, საჭიროა ტექსტი შინაარსობრივად დაზუსტდეს და შეიცვალოს შემდეგით: „კერძოსამართლებრივი ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ღირებულების მატერიალური და ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული“.

2. ქონების ცნებების შეჯერებით სხვადასხვა ეპოქის მეცნიერთა ნააზრევებთან, ნაშრომში შემოთავაზებულია ახალი განსაზღვრება, რომელმაც უფრო ზუსტად შეიძლება გადმოსცეს ქონების უზოგადესი შინაარსი და გაამდიდროს ქართული იურიდიული ლიტერატურა: კერძოდ, „ქონება არის სამართლებრივი ძალაუფლების ნაყოფი, რომელიც მოიცავს მატერიალურ და არამატერიალურ სიკეთეებს“.
3. სპეციალურ კანონთან, კერძოდ, „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონთან ტერმინოლოგიის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, სამოქალაქო კოდექსის მე-4 წიგნის მეორე კარის „სამრეწველო საკუთრების“ 1100-ე მუხლის ტერმინი „სამრეწველო ნიმუში“ მიზანშეწონილია შეიცვალოს ტერმინით „დიზაინი“.
4. უზოგადესად, საკუთრების უფლება იურიდიული უფლებაა, რომელიც პირს აძლევს განკარგვის შესაძლებლობას. ნივთი კი, შესაძლოა იყოს მატერიალური: უძრავი და მოძრავი საგნები და მათთან დაკავშირებული უფლებები, მოთხოვნები.

საკუთრების უფლების თანამედროვე თეორიებთან შეჯერების საფუძველზე შემუშავებულია დისერტანტისეული განსაზღვრება: „საკუთრება არის უფლება, რომელიც გამოიხატება ცალმხრივი ან ორმხრივი გარიგების მესაკუთრის შესაბამისი მოქმედებით ქონების ობიექტთან და ურთიერთობაში ჩართულ პირებთან მიმართებით“.

5. საქართველოში მოქმედი მიწაზე უფლებათა რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძვლები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სამართლებრივ სტანდარტს, საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები, მაგალითად, საკომლო ჩანაწერი, შეუსაბამოა დღევანდელ გეოსივრცით მონაცემებთან.
6. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების შესწავლით პირველად არის განხილული მიწის რეფორმების შედეგები საქართველოს დამოუკიდებლობიდან დღემდე.
7. გამოიკვეთა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს „ავტორიზებული მომხმარებლის“ ინსტიტუტის როლი ქვეყნის მარეგისტრირებელი სისტემის დეცენტრალიზაციაში საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების თანაფარდობის უზრუნველყოფის გზით.
8. გამოიკვეთა ამზომველის ჩართვის მნიშვნელობა და მისი როლი მიწის რეგისტრაციის პროცესში. პირველად გამახვილდა ყურადღება საამზომველო საქმიანობის საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობაზე საქართველოში.
9. გამოკვლეული და წარმოჩენილია მიწის პრივატიზაციისა და რეპრივატიზაციის მდგომარეობა,

მიწის კონსოლიდაციის სამართლებრივ ასპექტებთან ერთად, როგორც პრობლემა ქართულ სამართლებრივ წესრიგში. კვლევით ნაჩვენებია, რომ მიწის ფრაგმენტირებული საკუთრება ხელშემშლელია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის და მესაკუთრეებს ართმევს მიწის სოციალური ფუნქციით სარგებლობის საშუალებას, რაც პოსტსაბჭოური ეპოქის შესაბამისი მიწის განაწილების პოლიტიკის შედეგია. შედეგად, მიწის კონსოლიდაციის ხელშეწყობის მიზნით, რეპრივატიზაცია და მიწის საბჭოების შექმნა მიზანშეწონილია.

10. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ახალი შეხედულებების წარმოჩენის მიზნით, ნაშრომში აღწერილია მიწათსარგებლობის, ანუ მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის სამართლებრივი თავისებურებანი და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შეძენის გზები.
11. პირველად არის განხილული გეოინფორმაციული სისტემების როლი და რეკომენდებულია მათი ინტეგრირება საქართველოს კანონმდებლობაში, რადგან ანგარიშგასაწევია გეოინფორმაციული სისტემების დიდი როლი მიწის რეგისტრაციის დროს საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტის უზრუნველყოფაში, რაც იცავს მფლობელის უფლებას და საფუძველს უქმნის სამართლებრივი და ფაქტობრივი მონაცემების ურთიერთთანხვედრას.
12. მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო დანაწესი, რომ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე საკუთრების უფლების „აღიარებისას“ ნაკვეთის მესაკუთრეს შეეზღუდოს გასხვისება 10 წლით და დადგინდეს კანონის ნორმით, რომ ნაკვეთი გამოყენებულ იქნას მიზნობრივი დანიშნულებისამებრ.

13. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პროცესში აუცილებელია განმცხადებლისთვის შეპასუხების უფლების უზრუნველყოფა, სააპელაციო პალატის საქმიანობის დამოუკიდებლობის გამყარება და გასაჩივრების პროცესისთვის უსამართლო საფასურის გაუქმება, რაც სამართლებრივად სამართლიან და მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომას შექმნის.

კვლევა განსაზღვრავს და ეხება საქართველოს იურისდიქციაში არსებულ ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ხარვეზებს, რომლებიც ეხება საკუთრების უფლებას, უძრავი ქონების, კერძოდ, მიწის რეგისტრაციას და არა-სანივთოსამართლისეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების, კერძოდ, ინტელექტუალურ უფლებათა სამართლისეულ ზოგიერთ საკითხს უფლებათა მოპოვების ჭრილში. შემოთავაზებული რეკომენდაციები და დისერტანტისეული განსაზღვრებები მიზნად ისახავს სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მესაკუთრეთა კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფასა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი ყოვლისმომცველი სამართლებრივი წესრიგის შემუშავებას. ამ კვლევით მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Tornike Merebashvili

Acquisition of Rights to Tangible and Intangible Property

Educational programme: Law

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

Abstract

Tbilisi

2025

Grigol Robakidze University

Scientific supervisor: **Davit Dzamukashvili**

Doctor of Law, Professor

Co-supervisor: **Ludovit Macaj**

Doctor of Philosophy, Assistant Professor

The dissertation is available at the library of Grigol Robakidze University, Tbilisi, Irina Enukidze №3 (David Agmashenebeli Alley 13).

Table of Contents

